№ 627 პარასკევი, 11 სექტემბერი. 1896—1898 პარასკევი, 11 სექტემბერი № 627

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ, სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დღ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—40) გ. ჩხარტიშვილი

## წიგნის მაღაზია
## მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „**გლეხის**" ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანხ მთგვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—4)

**ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ**

трехъ величинъ

и

**ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ**

продаетъ торговый домъ

**С. П. Павловъ и К°**

Тифлиъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

**პრესები ყურძნის დასაჭყლეტად**

სამი ნაირის ზომისა

იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

**სავაჭრო სახლში**

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.

(15—10)



## „ბავშვების მოკეთის"

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—32) პატივისცემით ალ. ნათაძე.



მალე აქედან გამგზავრების გამო

იაფად იყიდება **მოლაპარაკე თუთიყუშები**

იქვე ღებულობენ

კავკასიის ნადირებს **ცხოველად**:

ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.

მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.

(12—2) ჰუგო ვინკლერი

## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

**ბენკლევსკი**

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

## ვექილი
## ი. ი. ზურაბოვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—3)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ. სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფთა-

და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ჶ. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **მოწონებული წიგნი.** კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ მოიწონა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ბ-ნის არისტო ქუთათელაძეს მიერ შედგენილი ქართული წიგნი „წყარო“ და გადასწყვიტა შეიძინოს ხსენებულ საზოგადოების სკოლების და წიგნსაცავებისათვის.

*** **პალეოგრაფიული ალბომი ქართველ მოღვაწეთა და დიდებულთა.** როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ჩვენს ისტორიკოსს ბ-ნს მოსე ჯანაშვილს შეუდგენია ქართულ ძველ ხელნაწერებიდან პალეოგრაფიული ალბომი ქართველთა მეფეთა, კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა. გარდა ამისა ალბომში მოთავსებულია ძველ ქართულ ფულების სახელებიცა. ამ ალბომს კიდევ დაემატება რამდენიმე ნიმუში სხვა და სხვა საუკუნის ხელისა. ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი ჯერ თავისს „კრებულში“ დაჰბეჭდავს და თანაც ყველასათვის ხელ მისაწდომ ფასად ცალკე გამოცემს, რომ ყოველ ქართველის ოჯახს უკვდავის შოთას ქმნილებასთან ერთად ეს ალბომიც ამშვენებდეს, სადაც ყველას შეუძლია სჭვრიტოს ხელი თამარისა, შოთასი და სხვათა დიდებულთა საქართველოისათა.

*** **მოქალაქეთა დეპუტატების არჩევნის გამო.** კვირას, 13 ენკენისთვეს, დანიშნულია არჩევანი ტფილისის საგლეხო და სამოქალაქო მცხოვრებთა გარდასახადის გამგეობის წევრთა და წარმომადგენელთა.

ტფილისში ქართველი ხელოსანი და მუშა ხალხი ყველაზე მეტი ითვლება—30,000-მდე. ნუ თუ სირცხვილი არ უნდა იყოს ამოდენა ქართველთათვის, რომ აქაც, სადაც გამგეთა და მმართველთა რიცხვი ქართველებისა უნდა სჭარბობდეს, აქაც წინააღმდეგი ხდება, აქაც ვერ იჩენენ ძალას. რას ნიშნავს ეს, თუ არ ჩვენს მთლად დაძაბუნებას და დაყრუებ-დაბრმავებას!

კვირას უკანასკნელი არჩევანი იქნება და ცხადი საქმეა, რომ ამ დღესაც ისევ ქართულად მოიქცევიან ამოდენა ქართველნი და თავიანთ მმართველად სხვებს ამოირჩევენ.

ქართველი ხელოსანი

*** **სასულიერო უწყების განმარტება.** სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ სასულიერო კონ-სისტორიები არ არიან ვალდებულნი ეკკლესიის კრებულთ პასუხი მისცენ ხოლმე იმ დეპეშებზე, რომლებითაც თხოულობენ უკანასკნელნი გვაუწყეთ ამა და ამ ჯვარ-დასაწერ პირის დაბადებისა და მონათვლის დროო.

*** **ხელოსნობა სასწავლებლებში.** ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ სავალდებულო შეიქმნეს ყველა რკინის გზის დასაწყის სასწავლებლებში ხელოსნობის სწავლებაო.

*** **განკარგულება.** რკინის გზების მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ მატარებლების მსახურებმა არ მისცენ მგზავრებს ვაგონებში ბანქოს თამაშის ნება და სასტიკად ადევნონ თვალ-ყური ყველა საეჭვო პირთ, ნამეტურ ღამ-ღამობით.

*** **დრეიფუსი პარიზში.** როგორც „ნოვ. ობ.“-ეს დეპეშით ატყობინებენ, პარიზში ხმა დადის, რომ დრეიფუსს შუა ოქტომბერში პარიზში მიიყვანენ. ახალი მინისტრი თანახმაა დრეიფუსის საქმის გადასინჯვაზეო.

*** **საქალებო სამკურნალო ინსტიტუტი.** „ნოვ. ობ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ, რომ საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში შეუძლიანთ ეხლა შესვლა იმ ქალთ, რომელთაც შვიდი კლასი დაუმთავრებიათ.

ფიზიოლოგიის პროფესორად ხსენებულს ინსტიტუტში დაუნიშნავთ დ-რი ვ. ი. ვართანოვი.

*** **მოხელეთა გამოგზავნა კავკასიაში.** პეტერბურგიდან გამოუგზავნიათ კავკასიაში ზოგიერთი უწყების მოხელენი ადგილობრივ საჭიროებათა გამოსაკვლევად. (ნ. ო.)

*** **ნავთის საქმე.** განზრახვა აქვთ დააწესონ მთავრობის ზედამხედველობა კავკასიაში კერძო პირთაგან ნავთის კვლევა-ძიებაზე. („ნ. ობ.“)

*** **მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარია გადვიდა ერმოლოვის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე, არაფელოვის სახლში.**

*** **ადვილად გასაფუჭებელ საქონლის გადაზიდვა.** რკინის გზების მთავრობას განზრახვა აქვს მოაწყოს-რიგოს ადვილად გასაფუჭებელ საქონლის გადაზიდვის საქმე. განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს ამ მხრით რძის ნაწარმოებს, კვერცხს, მწვანილს, ხილეულობას და სხ..,

*** **სწავლული ოსტატები.** სახალხო განათლების სამინისტრო ამ ჟამად ცდილობს შეიმუშავოს ახალი ტიპი ქიმიურ-ტეხნიკურ სასწავლებლისა, რომელიც უნდა ამზადებდეს მსწავლულ ოსტატებს ქიმიურ-ტეხნიკურ წარმოებისათვის. პროექტით სასწავლებელში მიიღებიან ყველა, ვისაც ქალაქის დასაწყის სასწავლებლებში კურსი დაუმთავრებია, ან-და ვინც ამ სასწავლებლების პროგრამაზე შესაოწმებელ ეგზამენს მოახდის.

*** **ნავთის საქმე.** რუსეთის მრეწველობის დასახმარებლად ზოგიერთს განსაკუთრებით კრიტიკულ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს მისცეს ხოლმე ნავთის მრეწველთ სესხი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ნავთის მწარმოებელი დაამტკიცებს, რომ მისგან დასამუშავებელი ადგილი ნავთიანია.

*** **რკინის გზის საკომერციო სასამართლო.** რადგან რკინის გზებს აუარებელი საჩივრები მისდის და რადგან საჭიროდ მიაჩნიათ ააცილონ რკინის გზებსა და ხაზინას ზარალი ამ საჩივრებისაგან. გზათა სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებული სარკინის გზო საკომერციო სასამართლო საჩივრების განსახილველადო. ეს სასამართლო უთუოდ პეტერბურგში უნდა არსებობდეს და შესდგებოდეს მოსამართლეთაგან ყველა სამინისტროების და ნაფიც ექსპერტების დანიშვნით.

*** **ქალაქის საბჭოს სხდომა.** 9 სექტემბერს მოხდა ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა პირველად საზაფხულო დასვენების შემდეგ. ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. სულიევი (25—22 ხმა), რომელიც ამ ჟამად მომრიგებელ-მოსამართლედ არის ბორჩალოს მაზრაში.

*** **სათადარიგო ჯარის-კაცთა გაწვევა.** წელს გაწვეულია სასწავლოდ 14,246 სათადარიგო ჯარისკაცი. ჯარის მოკრეფა დაიწყება ჩრდილოეთ კავკასიაში 10 სექტემბრიდან, ხოლო ამიერ-კავკასიაში 1 სექტემბრიდან.

*** **მატარებლების დაჯახება.** 9 სექტემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-217 ვერსზე, სადგურ გორსა და სკრას შუა, ქვის მზიდავ მუშა მატარებელს დაეჯახა სადგ. სკრიდან შეცდომით გამოშვებული საქონლის მატარებელი № 78. დაიმტვრა ოთხი ვაგონი, გადაბრუნდა ორთქლმავალი, მძიმედ დაშავდა იქვე მუშა მატარებელზე მომუშავე ორი დუხობორი, ქალი და კაცი, ხოლო ერთი ახალგაზდა, 14 წლის დუხობორის ქალი, ვარვარა კალესნიკოვა, სრულიად იმსხვერპლა. რკინის გზის ადგილობრივი მთავრობა დაუყონებლივ გამოცხადდა. საბრალო ქალი ისე გაესრისა მატარებელს, რომ ფეხები-ღა ეტყობოდა ადამიანისა.

*** **ქალაქის სკოლის მასწავლებლები,** 7 სექტემბერს, საღამოზე ქალაქის სასწავლებლის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას კრება ჰქონდა და ამ სასწავლებლების მასწავლებელთა ქქ. ტურსკაიასი, შტეინის და დანილოვის მაგიერად დაადგინეს მოიწვიონ მასწავლებლად თავადის ასული ვახვახიშვილისა, ქ. სოკოლოვისა, ქ. იშხანიანცისა და ქ. ჩიჯავაძისა. ეს მასწავლებელნი ამორჩეულ იქმნენ 36 მასწავლებელთაგან, რომელთაც ქალაქის გამგეობისათვის ეთხოვნათ ქალაქის სკოლებში მასწავლებლობა ვოგვეცითო. ამას გარდა იმავე კომისიამ დაადგინა, მეფე ირაკლის სახელობაზე დაარსებულ სამის სკოლისათვის მიიწვიონ სამღთო წერილის მასწავლებლად მღვდელნი ასათიანი და ჩაგუნავა და სომეხთა მღვდელი სააკიანცი. ამავე სკოლებში ქართულის ენის მასწავლებლად—თავადის ასული ჯორჯაძე და ქ. ხმიადოვისა და სომხურის ენის მასწავლებლად კ—ქ. გალუმოვისა და შახაზიზიანცი.

*** **შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ტფილისში.** ზოგიერთ ტფილისელ მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, ნება მოგვეცით ტფილისში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დავაარსოთო. ამხანაგობის დაარსების მიზანია, მიეცეს ამხანაგობის წევრთ სესხი სხვა და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის, და აგრეთვე შეიძლონ მათ ფულის შენახვა—დაზოგვა.

*** **მეშჩანთა დეპუტატების არჩევნები.** 8 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ტფილი-

სის მეშჩანთა დეპუტატების არჩევნები. დახურულ კენჭის ყრით 51 კენჭის მყრელთაგან არჩეულ იქმნა 33 კაცი: ი. ს. ბუღდანოვი (62 თეთ. 14 შ.), ნ. ნარიმანოვი (60—16), ე. ედიგაროვი (58—18), გ. ნახშუმოვი (55—21), ა. ადამიძე (53—23), პ. კოლესნიკოვი, ხ. როლოვი, ა. მაკედონსკი, ა. ახნაზაროვი, გ. ოქროპირიძე—(47—27), მ. ჩიმიშკიანი, მ. მინასოვი (46—30), ფ. რეგერი (45—31), ნ. აბრამოვი (44—32), ი. საათსაზოვი, ე. მჭედლიძე, გ. ჩარკვიანი (43—33), ს. მახარობლიძე, ა. ასიტოვი, ტ. ერმიშევი, ნ. ხალათოვი (42—34), გ. ოტიანცი (41—35), ი. ოპანოვი, ა. ბაბიჩევი, ს. დევდარიანი, რ. კულიჯანოვი, ე. საიპოვი (40—36), ნ. კონდახსაზოვი, ა. მელიქ-აივაზოვი და ტ. მუქაელოვი (39—37). დანარჩენი 18 კაცი გაშავებულ იქმნა.

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). უბედური შემთხვევა. ილია ნაცვალიშვილის 4 წლის ქალს გადაესხა მდუღარე წყალი და მთლად წელსქვევით გაიფუფქა. საბრალომ ხუთი დღე-ღა იცოცხლა და მეექვსე დღეს სული განუტევა ნაწლევების ანთებით.

*** **ს. ბატიური** (ქართ.). კაცის დაჭრა. 6 ენკენისთვეს სოფ. ბატიურში გლეხმა შიო ბესთავაშვილმა ხანჯლით დასჭრა ბეჭში და მარცხენა ფეხში თავისი ბიძაშვილი სოსე ბესთავაშვილი, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა სიმინდიდან იმისი ძროხა გამოაგდო, რომელიც ყანას უფუჭებდა. ბოქაულმა ოქმი შეადგინა და გამომძიებელს გადასცა. გამოძიება სწარმოებს.

*** **დ. სურამი.** დაჭრა. 6 ენკენისთვეს სურამში ღვინის სმის დროს ჩხუბი მოუვიდათ აზნაურს ალექსანდრე ლოლუას და მეეტლეს იოსებ თომაშვილს, პირველმა მძიმე ჭრილობა მისცა მეორეს ხანჯლით ბეჭში. გამოძიება სწარმოებს.

ეს ამბავი მოხდა იმ დუქნებში, რომლებშიაც ყოველ-დღე ხდება უწესოება. ეს დუქნები ჩამწკრივებულია სურამის ბოლოში სწორედ იმ ქუჩაზე, რომლის მეტი სურამს სასეირნო ქუჩა არ აბადია. პატიოსანი პირნი ბევრჯერ დაბრუნებულან უკან სეირნობიდან, როგორც-კი ამ საძაგელ ალაგს მიახლოვებულან. საყურადღებო ისაა, რომ აქვე მახლობლად სოფლის მამასახლისი სცხოვრობს, მაგრამ უწესობა-კი არ ისპობა. საზოგადოებამ ბევრჯერ მოინდომა ამ დუქნების გაუქმება, მაგრამ ვერაფერს გახდა. ძალიან საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

სტუმარი

# თეატრის მატიანე

—

**ს. სამიქაო** (სამეგრელო). ქართული წარმოდგენა. 30 აგვისტოს აქაურ სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა 2 მოქმ. კომედია „ბაიყუში“ და „ოინბაზი“ ავ. ცაგარლისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. რევაზის როლი ივ. მიქაძემ და თალიკოს როლი ქნ. მიქაძისამ მოხდენილად ჩაატარეს. ბ. გოჩამ (გასპარა) ნათლად დაგვანახვა სომხების სიგმირე-სიმხდალე. ქ-ნ მიქაძეს, რომელიც ელისაბედის როლს თამაშობდა, როლის უცოდინარობა ეტყობოდა, რაც ძლიერ უშლიდა ხელს. კოტეს (აქტიორის) როლი ბ-ნმა წულუკიძემ სუსტად იცოდა.

ვოდევილში ალექსანდრე ჭინჭარაძის როლი ბ-ნმა სანოძემ მოხდენილად ჩაატარა. სუსტობდა სონა როლის უცოდინრობის გამო. მხიარულება გამოიწვია ბ-ნმა გოჩამ (ტიგრანა) თავისი მოხდენილი თამაშით. საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო, თუმცა წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით იყო.

ხურგანეთელი

# სამეცნიერო ცნობა

## მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

### ბოტანიკა და მისი ნაწილები

სწავლას მცენარეებზე ჩვენ ვუწოდებთ ბოტანიკას; ეს სწავლა ოთხ ნაწილად გაიყოფა: ანატომია, მორფოლოგია, სისტემატიკა და ფიზიოლოგია.

ანატომია მცენარის შიგნეულ შენობას შეისწავლის; მორფოლოგია — გარეგან შეხედულობას; სისტემატიკა — მცენარეთა შორის ნათესაობას, ფიზიოლოგია — მცენარეს ცხოვრებას.

### ყვავილი

ჩვენ ბოტანიკის შესწავლას დავიწყობთ მორფოლოგიიდან. რადგანაც ამ ნაწილის შესწავლა უფრო ადვილია. მორფოლოგიაში ყვავილს უპირველესი ადგილი უჭირავს; რას უწოდებენ ყვავილს? ყვავილი გროვაა სხვა და სხვა ორგანოებისა, რომელნიც იძლევიან ნაყოფს და თესლს, ყოველი ყვავილი შესდგება უმთავრესი და არა უმთავრესი, ანუ მეორე ხარისხოვანი ნაწილებიდან; უმთავრეს ნაწილებს შეადგენს მამალ და დედალ ორგანოები; არა უმთავრეს—ბადია, გვირგვინი, ყვავილფეხი და სხვა. აბა ავიღოთ რომელიმე ყვავილი და კარგად გავსინჯოთ. იმ ნაწილს ყვავილისას, რომლითაც ყვავილი ღეროზეა მიბმული უწოდებენ ყვავილფეხას (цвѣтотжока) ყვავილფეხა ბოლოში მსხვილდება; ამ გამსხვილებულ ნაწილზე ყვავილი ზის; ამ ნაწილს ვუწოდებთ ყვავილის საჯდომს (цвѣтолофе). ყვავილის საჯდომზე ჩვენ ვამჩნევთ პატარა მწვანე ფოთლუკებს; მწვანე ფოთლუკები ერთად შეადგენენ ბადიას (чашечка); თითო ამ მწვანე ფოთოლს ვუწოდებთ ბადიაფოთლუკას (чашешникъ). ბადიაფოთლუკები რომ მოვაშოროთ, ჩვენ დავინახავთ სხვა და სხვა ფერად შეღებულ ფურცლებს (лепеотки) ფურცლები აძლევენ ყვავილს ფერს და როცა ვამბობთ წითელი ყვავილიაო ეს ნიშნავს, რომ ყვავილს წითელი ფურცლები აქვს.

ფურცლები ერთად შეადგენენ „გვირგვინს“ (вѣнчикъ). ყველა ეს ზემოხსენებულნი ნაწილნი ყვავილისა შეადგენენ მეორე ხარისხოვან ნაწილებს ყვავილისას, ანუ არა უმთავრეს.

ყვავილში რომ ჩავხედოთ, ჩვენ ვნახავთ ერთგვარ ორგანოებს, რომელნიც ერთი შეხედვით მიაგავენ ქინძისთავს. ეს მამალ ორგანოებია: მამალ ორგანო შესდგება პატარა მოყვითანო პარკუჭიდან, რომელშიაც ყვავილის მტვერია და ძაფმაგვარი ღეროდან. მაშასადამე, მამალ ორგანო შესდგება ღეროკიდან და პარკუჭიდან ანუ სამტვეროდან (пыльникъ).

მამალ ორგანოების შორის: შუა ადგილი უჭირავს დედალ ორგანოს, რომელიც გარეგანი შეხედულობით დასტასს (пестикъ) ჰგავს. დედალ-ორგანო ქვევით განიერია, შემდეგ ყელი ვიწროა ძირთან და პირთან შედარებით. ქვედა ნაწილს დედალ ორგანოისას უწოდებენ სანაყოფოს (завязь), რადგანაც ეს ნაწილი შემდეგ ნაყოფად იქცევა. განაყოფიერებული სანაყოფე შემდეგ მწიფდება და ნაყოფად იქცევა; სანაყოფეში რამდენიმე ბუდეა (гнѣздо); ხან ერთი, ხან ორი და ხან კი მრავალი; ბუდეში ადვილი შესამჩნევია პატარა თეთრი კვერცხმაგვარი თესლოკვირტები (сѣмя почки), დედალ ორგანო შესდგება სანაყოფოდან, ყელიდან და პირიდან, ერთი სიტყვით დედალ-ორგანო ქართულ სურას მოგვაგონებს.

არიან ისეთი ყვავილნიც, რომელთაც ბადია და გვირგვინი არა აქვთ, მაგალითად იფნას (ясенd); ბადია შესდგება უმეტესად 4 ოთხი ანუ ხუთი ბადიაფოთლუკისაგან.

ბადია-ფოთლუკები, ერთად შეერთებულნი შეადგენენ ფოთლუკაშეერთებულ ბადიას, თუ ბადიაფოთლუკები ცალ-ცალკეა — ასეთ ბადიას უწოდებენ ფოთლუკგაცალკავებულ ბადიას. ფოთლუკები მთლიანად არას დროს არ უერთდებიან ერთმანეთს; ყოველთვის შეიძლება გავიგოთ რამდენი ფოთლუკიდან შესდგება რომელიმე ფოთლუკაშეერთებული ბადია; ამისათვის საკმარისია დავთვალოთ რამდენი კბილი (субцы) აქვს ბადიას. თუ ბადია ფოთლუკები სულ ერთნაირი და ერთგვარნი არიან, ასეთ ბადიას უწოდებენ თანასწორ ბადიას (правильная чашечка); თუ კი ბადიას ფოთლუკები თანასწორი არ არიან — მაშინ ბადიას „არა თანასწორ ბადიას“ უწოდებენ.

„თანასწორ“ გვირგვინს უწოდებენ ისეთს, რომელსაც ერთნაირი და ერთგვარი ფურცლები აქვს.

თუ ფურცლები შეერთებულნი არიან ასეთ გვირგვინს „ფურცელშეერთებულ (сростнолепестный в.) გვირგვინს უწოდებენ; არიან ფურცელგაცალკევებული გვირგვინები *).

მ. ზაალიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 626.

*) გვირგვინი, როგორც ბადია, შეიძლება იყოს თანასწორი და არა თანასწორი.

# ყურმოკრული საუბარი

—

სასამართლოში. მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

— დამნაშავედ სცნობ თუ არა თავს?

— ბეეე, — თხასავით უპასუხებს ბრალდებული.

— გიჟი ხომ არა ხარ! პასუხი მამეცით, — უჯავრდება მოსამართლე. ის ისევ „ბეეე“-ო გაიძახის. მოსამართლის ყოველ კითხვაზე ბრალდებული ასეთსავე პასუხს აძლევდა. მოსამართლემ სულელად დანიშნა იგი და განთავისუფლებული გარეთ გააგდო. გარეში ბრალდებულს ვექილი დაუხვდა, რომელსაც ეს მოხერხებული პასუხი ესწავლებინა მისთვის და მიჰმართა მას:

— ხო გაგანთავისუფლე, მომეცი, რაც აღმითქვით!

— „ბეეე“, უპასუხა ამასაც ბრალდებულმა.

— მართლაც „ბეეე“ თუ არ მდომოდა, რატო სანამ გასწავლიდი, ბე არ გამოგართვიო და მოშორდა თავიდან.

კოლონა

# სხვა-და-სხვა ამბავი

—

საინტერესო სკოლა. მიუნხენში (ბავარიაში) ერთმა ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ გამართა სადარიბო სკოლა, რომელშიაც უფასოდ ასწავლიან 200-ზე მეტ ვაჟს და ქალს, რომელთაც აგრეთვე უფასოდ ეძლევათ სამოსწავლო საგნები, ტანისამოსი და ფეხსაცმელი.

ამ სკოლას ინახვენ მხოლოდ იმ ფულით, რომელსაც იღებენ ისეთი საგნების მოგროვებით და გაყიდვით, რომლებსაც უწინ ნაგავს ატანდნენ და ჰყრიდნენ.

ეს საზოგადოება აგროვებს სადილზე მონარჩენ ძვლებს და ყოველგვარ

ჩვრებსა და ნაჭრებს, რომლებიც გადარჩება ხოლმე ჭრა-კერვის ან ტანისამოსის გადაკეთების დროს. ამ მიზნით, საზოგადოებამ თვითეულ ოჯახის სამზარეულოში, სამკერვალო და სადერციკო სახელოსნოში დადგა ორ-ორი კალათი, რომელშიაც ყოველ დღე ჰყრიან ყველა მონარჩენ საგნებს. კვირაში ერთხელ ქალაქს ჩამოივლის ხოლმე დიდი ეტლი, და წაიღებს თან ყველაფერს, რაც ერთი კვირის განმავლობაში მოგროვებულა. ძვლებს აგზავნიან შაქრის ქარხნებში, ხოლო ჩვრებსა და ნაჭრებს ქაღალდის ქარხნებში.

ასეთი საგნების მოგროვების მეოხებით, რომლებიც არავის არაფრად უღირს, საქველ-მოქმედო საზოგადოება ახერხებს არა მარტო სკოლის შენახვას, მოსწავლეთა ჩაცმა-დახურვას და სამოსწავლო საგნების შეძენას, არამედ თითქმის ყოველ წლივ საშობაოდ მართავს ბავშვებისათვის საუმაწვილო საღამოს ნიჩილაქით და საჩუქრებით თავიანთ მოწაფეთათვის.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 სექტემბერი

**იოკაჰამა.** 9 ამერიკელი, 9 ინგლისელი, 5 გერმანელი, 5 ფრანგი და 2 რუსი, რომელნიც შან-ჰაიში შეჰკრიბეს კორეის იმპერატორის დამცველებად, სეულში მოვიდნენ.

**ლონდონი.** „სტანდარტს“ კანდიიდგან სწერენ დეპეშით: „ადმირალი ნოელი ძლიერ უკმაყოფილოა იმაზე, ვინც ედჰემ-ფაშამ დაპატიმრა: იმ 61 კაცთა შორის, რომელიც ოსმალეთმა გასცა, არც ერთი არ არის უმთავრეს დამნაშავეთაგანი. ნოელმა შეატყობინა ედჰემ-ფაშას 26 მოთავეს სახელი და სთხოვა—დაუყოვნებლივ მოგვეცით ეგენი ხელშიო.

„ტიმეს“-ს დეპეშით სწერენ კანდიიდგან, რომ ადმირალმა ნოელმა უბრძანა ყველა იალგნიან გემების უფროსებს ნავთ-სადგურიდგან გასვლა, თუ ვინიცობაა, ყუმბარები დაუშინეს კრიტის კუნძულს.

**ლონდონი.** ქაირიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ განუცხადა ინგლისს—მარშანის ექსპედიციას ოფიციალური ხასიათი არა აქვსო. სარდარი ჩაავონებს მარშანს, რაშიაც არის საქმე და ქაირში მოიყვანს. ამბობენ, ვითომ უკვე შეკრულია პირობა, რომლის ძალით საქმე იმით გათავდება, რომ ფაშალს ეგვიპტელნი დაიჭერენ.

**პარიზი.** არავითარ ოფიციალურ ცნობებით არა მტკიცდება, რომ მარშანი ეგვიპტეში იყვეს.

**სტამბოლი.** აქ არა ფიქრობენ, რომ ის 42 კაცი, რომლებიც ოსმალეთას მთავრობამ გასცა, უმთავრესნი დამნაშავენი იყვნენ. გარეშე საქმეთა სამინისტროს მთავარ-მდივანი გაგზავნილ იქმნა ინგლისის საელჩოში, რათა მოახსენოს, ვინ იქმნას გაგზავნილი კრიტის კუნძულიდან იმ უწესოების გამო, რომელიც კანდიაში მოხდა. ბრიტანიის საქმეთა რწმუნებულმა უპასუხა, რომ საქმე კრიტის სასამართლოს ექვემდებარეობაო.

**კანდია.** ედჰემ-ფაშამ განაცხადა, რომ სულთანის ბრძანებით, იარაღი უნდა გადაეცეს საგანგებოდ ამისათვის დაარსებულ კომისიას. საფრანგეთისა, რუსეთისა და იტალიის სამხედრო გემები და ჯარი კანეაში წავიდნენ.

**პარიზი.** ჰერცოგმა ორლეანისამ გამოსცა მანიფესტი და განაცხადა თვისი წინააღმდეგობა მინისტრთა გარდაწყვეტილებაზე, რომლითაც, თუმცა დრეიფუსი დანაშავედ არის ცნობილი, მაგრამ აშკარად სჩანს, რომ ამ საერო კითხვის გარდაწყვეტა ისე არა ჰსურთ, რომ პალატას დაეკითხნენ. ჰერცოგი ბრალსა სდებს მინისტრებს იმაში, რომ სამხედრო საქმის არევა და საფრანგეთის დაღუპვა ჰსურთო და იმას იმიზეზებენ, რომ ვითომ უდანაშაულო კაცი უნდა გავამართლოთო.

**ვაშინგტონი.** სან-ფრანცისკოში მდგომ ხუთ რაზმს ბრძანება მოუვიდათ მანილიაში წასვლისა. ჯარის გაგზავნისათვის საჭირო ღონისძიებას დაუყოვნებლივ მიიღებენ.

9 სექტემბერი

**მადრიდი.** დედოფალმა-მმართველმა გრაფ მურავიოვის საყოველთაო პროექტის პასუხად სრული თანხმობა განუცხადა და დიდად შეაქო პროექტი. ისპანიის დელეგატი მაშინ იქნება დანიშნული, როდესაც კონფერენციას მოუწოდებენ.

**ლონდონი.** ბუენოს-აირესიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სასაზღვრო დავა ჩილისა და არგენტინს შორის მშვიდობიანად გათავდაო.

**ბუდაპეშტი.** უმაღლესი საქალაქო მმართველობა ქალაქიდგან აძევებს ყველა ანარქისტს, რომელიც ამ ქალაქის მოქალაქეთა რიცხვს არ ეკუთვნიან.

**ლონდონი.** ყანდიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ედხემ-ფაშამ დააპატიმრა უწესოების ზოგიერთი უმთავრესი დამნაშავეო.

**პარიზი.** გენერალი ცურლინდენი დანიშნულ იქმნა პარიზის სამხედრო გუბერნატორად.

**ბარცელონა.** 10 იტალიელია დაპატიმრებული. ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს ლუკკენის ბოროტ-მოქმედებასთან.

**სტამბოლი.** მარკოვის დაბეჯითებულ წარდგენილებათა გამო, სულთანმა ნება დართო, რომ სტამბოლში შემოსულიყო მატარებელი ბოლგარიიდგან მოსულ მგზავრებით, რომელნიც ბოლგარიის ეკკლესიის კურთხევაზე დასასწრებლად მოსულან. ბოლგარიის გემი „ბულგარია“ რამდენისამე ასის მოგზაურით უკვე მოვიდა აქა.


# განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—11)



## საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

დებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა** და **თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

## Страховое Общество „ЯКОРЬ“

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—45)



**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

## Принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

## „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) – петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—8)